

შპს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ბერმელი

სპეციალური დანიშნულების ფინანსური ინფორმაცია

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად

საანგარიშო წლისათვის, რომელიც დასრულდა

2014 წლის 31 დეკემბერს

შინაარსი:

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა.....	3
--------------------------------------	---

სპეციალური დანიშნულების ფინანსური ინფორმაცია

სპეციალური დანიშნულების სრული შემოსავლის ანგარიშგება.....	5
სპეციალური დანიშნულების ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	6
სპეციალური დანიშნულების საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება	7
სპეციალური დანიშნულების ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება	8

სპეციალური დანიშნულების ფინანსური ინფორმაციის შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია.....	9
2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა	9
3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები.....	18
4. საპროცენტო შემოსავალი, წმინდა	19
5. ხელფასები და თანამშრომელთა სხვა სარგებელი	19
6. ადმინისტრაციული და სხვა საერთო ხარჯები	20
7. წმინდა შემოსავალი საკურსო სხვაობიდან	20
8. მოგების გადასახადის ხარჯი.....	21
9. ფული და ფულის ეკვივალენტები	21
10. კლიენტებზე გაცემული სესხები.....	22
11. სხვა აქტივები.....	23
12. ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები.....	24
13. გადავადებული მოგების გადასახადის აქტივი	25
14. მიღებული სესხები	26
15. სხვა ვალდებულებები.....	26
16. ფინანსური ინსტრუმენტები – რისკების მართვა.....	27
17. ოპერაციები დაკავშირებული მხარეებთან.....	32
18. ბალანსის შემდგომი მოვლენები	33

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

ჩვენ ჩავატარეთ შპს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ბერძელის მენეჯმენტს და დამფუძნებლებს:

ჩვენ ჩავატარეთ მას მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ბერმელის (შემდეგში ორგანიზაცია) სპეციალური დანიშნულების ფინანსური ინფორმაციის აუდიტი, რომელიც მოიცავს სპეციალური დანიშნულების ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას 2014 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ასევე, სპეციალური დანიშნულების სრული შემოსავლის, საკუთარ კაპიტალში ცვლილებებისა და ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგებებს 2014 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის, ასევე, შესაბამისი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვასა და სხვა ახსნა-განმარტებით შენიშვნებს. მოცემული სპეციალური დანიშნულების ფინანსური ინფორმაცია შედგენილია მე-2 შენიშვნაში მოცემული მომზადების საფუძვლის შესაბამისად, რომელიც განმარტავს როგორ მოხდა ფასს-ის გამოყენება იმ შეფასებების ჩათვლით, რაც გააკეთა მენეჯმენტმა სტანდარტებსა და ინტერპრეტაციებთან ასევე პოლიტიკასთან მიმართებაში რომელიც უნდა გამოიყენოს ფასს-თან სრულად შესაბამისი პირველი ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას 2015 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის.

ბელმდღანელობის პასუხისმგებლობა სპეციალური დანიშნულების ფინანსურ ინფორმაციაზე

მენეჯმენტი პასუხისმგებელია სპეციალური დანიშნულების ფინანსური ინფორმაციაზე და წარდგენაზე მე-2 შენიშვნაში მოცემული მომზადების საფუძვლის შესაბამისად. სპეციალური დანიშნულების ფინანსური ინფორმაციის მომზადება წარმოადგენს ორგანიზაციის მიერ ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებზე გადასვლის ნაწილს. აღნიშნული პასუხისმგებლობა მოიცავს: ისეთი შიდა კონტროლის სისტემების შემუშავებას, დანერგვას და მონიტორინგს, რომელიც უზრუნველყოფს ისეთი სპეციალური დანიშნულების ფინანსური ინფორმაციის მომზადებას და წარდგენას, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობებს; შესაბამისი სააღრიცხვო პოლიტიკის შერჩევას და გამოყენებას; და სააღრიცხვო შეფასებების გაკეთებას, რომელიც იქნება გონივრული არსებული გარემოებების გათვალისწინებით.

აუდიტორის პასუხისმგებლობა

ჩვენი პასუხისმგებლობა ჩვენ მიერ ჩატარებული აუდიტის საფუძველზე გამოვთქვით მოსაზრება წარმოდგენილ სპეციალური დანიშნულების ფინანსურ ინფორმაციაზე. აუდიტს წარვმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. ეს სტანდარტები მოითხოვს, დავიცვათ ეთიკის ნორმები და იმგვარად დავგეგმოთ და ჩავატაროთ აუდიტი, რომ მივიღოთ დასაბუთებული რწმუნება იმისა, შეიცავს თუ არა მოცემული სპეციალური დანიშნულების ფინანსურ ინფორმაცია არსებით უზუსტობებს.

აუდიტი ითვალისწინებს პროცედურების ჩატარებას აუდიტორული მტკიცებულებების მოსაპოვებლად სპეციალური დანიშნულების ფინანსურ ინფორმაციაში ასახული თანხებისა და განმარტებითი შენიშვნების შესახებ. პროცედურების შერჩევა დამოკიდებულია აუდიტორის განსჯაზე, მათ შორის არსებითი უზუსტობების რისკის შეფასებაზე, რომლებიც გამოწვეულია თაღლითობით ან შეცდომით. ამ რისკების შეფასების დროს აუდიტორი განიხილავს, შესაფერისია თუ არა შიდა კონტროლი სამეურნეო სუბიექტის სპეციალური დანიშნულების ფინანსური ინფორმაციის მომზადებისა და სამართლიანი წარდგენისთვის, რათა დაიგეგმოს მოცემული კონკრეტული გარემოების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოთქვას შიდა კონტროლის სისტემის ეფექტიანობაზე. აუდიტი აგრეთვე გულისხმობს სპეციალური დანიშნულების ფინანსური ინფორმაციის მომზადებისას ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკისა და მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების მართებულობის შეფასებას, აგრეთვე მთლიანად სპეციალური დანიშნულების ფინანსური ინფორმაციის წარდგენის შეფასებას. გვჯერა, რომ ჩვენ მერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებების საფუძველზე შეგვიძლია დავასაზღვროთ, რომ ფინანსური ინფორმაცია სრულყოფილია და სწორად წარდგენილია.

გვჯერა, რომ ჩვენ მთელი მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია მოსაზრებაზე უარის გამოსათქმელად საჭირო საფუძვლის შესაქმნელად.

მოსაზრების გამოთქმაზე უარის საფუძველი

როგორც ეს აღნიშნულია სპეციალური დანიშნულების ფინანსური ინფორმაციის მე-10 შენიშვნაში, კლიენტებზე გაცემული სესხები 2014 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს 26,970,583 ლარს. ორგანიზაციამ 2014 წელს დაიწყო ახალი სასესხო პროგრამის დანერგვა, მაგრამ სახელშეკრულებო პირობებზე შეუთანხმებლობის გამო მომწოდებელთან წარმოიშვა გარკვეული უთანხმოებები. შედეგად, ვერ მოხერხდა პროგრამის გამართული მუშაობა. შესაბამისად, აღნიშნული პროგრამის გაუმართაობის გამო, ჩვენ არ მოგვეცა საშუალება მოგვეპოვებინა სრულყოფილი ინფორმაცია კლიენტებზე გაცემულ სესხებთან დაკავშირებით. შედეგად, არ შეგვიძლია განვსაზღვროთ აღნიშნული გარემოებით გამოწვეული შესაძლო უზუსტობის ეფექტი სპეციალური დანიშნულების ფინანსური ინფორმაციის შემდეგ არეებზე: ფულსა და ფულის ეკვივალენტებზე, კლიენტებზე გაცემულ სესხებზე, საპროცენტო შემოსავალზე, საკომისიო შემოსავალსა და ვადაგადაცილებული სესხების გაუფასურების რეზერვზე.

უარი მოსაზრების გამოთქმაზე

მოსაზრების გამოთქმაზე უარის საფუძვლის აბზაცში აღწერილი საკითხების სპეციალური დანიშნულების ფინანსურ ინფორმაციაზე გავლენის მნიშვნელობის გამო, ვერ შევძელით საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულების მოპოვება აუდიტორული მოსაზრების გამოსათქმელად საჭირო საფუძვლის შესაქმნელად. შესაბამისად, ჩვენ არ გამოვხატავთ მოსაზრებას სპეციალური დანიშნულების ფინანსურ ინფორმაციაზე.

27 ნოემბერი, 2015

თბილისი, საქართველო

ყვეს ზიდიო

შპს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ბერმელი

სპეციალური დანიშნულების სრული შემოსავლის ანგარიშგება

2014 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშო წლისათვის


(ლარებში)

	შენიშვნა	2014 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
საპროცენტო შემოსავალი	4	6,660,169
საპროცენტო ხარჯი	4	(2,055,416)
წმინდა საპროცენტო შემოსავალი გაუფასურებამდე		4,604,753
კლიენტებზე გაცემული სესხების გაუფასურების ხარჯი		(662,690)
წმინდა საპროცენტო შემოსავალი		3,942,063
საკომისიო შემოსავალი		216,554
ხელფასები და თანამშრომელთა სხვა სარგებელი	5	(746,519)
ადმინისტრაციული და სხვა საერთო ხარჯები	6	(759,687)
წმინდა შემოსავალი საკუთარ სხვაობიდან	7	675,915
მოგება დაბეგვრამდე		3,328,326
მოგების გადასახადის ხარჯი	8	(560,699)
წლის მოგება		2,767,627
სხვა სრული შემოსავალი		-
წლის სრული შემოსავალი		2,767,627

მენეჯმენტის მხრიდან ხელმოწერილია შემდეგი პირების მიერ:

გენერალური დირექტორი

ფინანსური დირექტორი





ე. ბერიძე-მელიქიშვილი

ზ. მელიქიშვილი

შპს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ბერმელი

სპეციალური დანიშნულების ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება


2014 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(ლარებში)

	შენიშვნა	31 დეკემბერი 2014	1 იანვარი 2014
აქტივები			
ფული და ფულის ეკვივალენტები	9	761,275	142,932
კლიენტებზე გაცემული სესხები	10	26,970,583	17,937,811
სხვა აქტივები	11	334,634	352,456
ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები	12	354,327	191,968
გადავადებული მოგების გადასახადის აქტივი	13	16,263	2,355
მთლიანი აქტივები		28,437,082	18,627,522
ვალდებულებები			
მიღებული სესხები	14	21,507,195	12,950,974
მიმდინარე მოგების გადასახადი		124,265	12,858
სხვა ვალდებულებები	15	85,340	5,335
მთლიანი ვალდებულებები		21,716,800	12,969,167
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		252,000	252,000
გაუნაწილებელი მოგება		6,468,282	5,406,355
მთლიანი კაპიტალი		6,720,282	5,658,355
ვალდებულებები და კაპიტალი		28,437,082	18,627,522

მენეჯმენტის მხრიდან ხელმოწერილია შემდეგი პირების მიერ:

გენერალური დირექტორი



ე. ბერიძე-მელიქიშვილი

ფინანსური დირექტორი

ზ. მელიქიშვილი

შპს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ბერძელი

სპეციალური დანიშნულების საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

2014 წლის 31 დეკემბრის დასრულებული საანგარიშო წლისათვის

(ლარებში)

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ
ბალანსი 2014 წლის 1 იანვარს	252,000	5,406,355	5,658,355
გამოცხადებული დივიდენდები	-	(1,705,700)	(1,705,700)
წლის სრული შემოსავალი	-	2,767,627	2,767,627
ბალანსი 2014 წლის 31 დეკემბრის	252,000	6,468,282	6,720,282


მენეჯმენტის მხრიდან ხელმოწერილია შემდეგი პირების მიერ:

გენერალური დირექტორი



ე. ბერიძე-მელიქიშვილი

ფინანსური დირექტორი



ზ. მელიქიშვილი



შპს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ბერმელი

სპეციალური დანიშნულების ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება

2014 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშო წლისათვის


(ლარებში)

	შენიშვნა	2014 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		
მოგება დაბეგვრამდე		3,328,326
შესწორებები შემდეგი მუხლებისათვის:		
დარიცხული პროცენტის წმინდა ცვლილება	4	(4,604,753)
ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯი	12	62,804
ჩამოწერილი ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები	12	61,643
წმინდა მოგება სავალუტო ოპერაციებიდან	7	(675,915)
კლიენტებზე გაცემული სესხების გაუფასურების ხარჯი		662,690
საოპერაციო საქმიანობისთვის გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო აქტივებსა და ვალდებულებებში ცვლილებამდე		(1,165,205)
ცვლილებები საბრუნავ კაპიტალში:		
წმინდა ზრდა კლიენტებზე გაცემულ სესხებში		(15,311,851)
წმინდა კლება სხვა აქტივებში		36,647
წმინდა ზრდა სხვა ვალდებულებებში		27,360
საოპერაციო საქმიანობისთვის გამოყენებული ფულადი სახსრები		(16,413,049)
გადახდილი პროცენტი		(1,946,059)
გადახდილი მოგების გადასახადი		(463,200)
მიღებული საპროცენტო შემოსავალი		14,171,433
საოპერაციო საქმიანობისთვის გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები		(4,650,875)
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივების შეძენა	12	(286,806)
საინვესტიციო საქმიანობისთვის გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები		(286,806)
ფულადი ნაკადები ფინანსური საქმიანობიდან		
სესხების მიღება		29,581,577
სესხების გადახდა		(22,342,453)
დივიდენდების გადახდა		(1,705,700)
წმინდა ფულადი ნაკადები ფინანსური საქმიანობიდან		5,533,424
ფულისა და ფულის ეკვივალენტების წმინდა ზრდა		595,743
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში		142,932
გაცვლითი კურსის ცვლილების გავლენა	7	22,600
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს		761,275

მენეჯმენტის მხრიდან ხელმოწერილია შემდეგი პირების მიერ:

გენერალური დირექტორი

ფინანსური დირექტორი




გ. ბერიშვილი-მელიქიშვილი

ზ. მელიქიშვილი



9 – 33 გვერდებზე არსებული შენიშვნები წარმოადგენს სპეციალური დანიშნულების ფინანსური ინფორმაციის განუყოფელ ნაწილს.

შპს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ბერმელი

სპეციალური დანიშნულების ფინანსური ინფორმაციის განმარტებითი შენიშვნები

2014 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშო წლისათვის

(ლარებში)

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ბერმელი (შემდგომში ორგანიზაცია) დაარსდა 1998 წელს, როგორც შპს აჩიკო, ხოლო 2010 წლის 4 აგვისტოს მოხდა სახელწოდების ცვლილება.

ორგანიზაციის მმართველობის უმაღლეს ორგანოს წარმოადგენს სამეთვალყურეო საბჭო, ხოლო ფირმის საქმიანობას ხელმძღვანელობს სამეთვალყურეო საბჭოს მიერ არჩეული დირექტორი.

ორგანიზაციის მთავარი საქმიანობაა მიკრო სესხების გაცემა. ორგანიზაციის ფინანსური პროდუქტებია: ბიზნეს, იპოთეკური, სამომხმარებლო, ავტო და სალომბარდო სესხები.

2014 წლის 29 ოქტომბერს ორგანიზაციამ საქართველოს ეროვნული ბანკისგან მიიღო განკარგულება მიკროსაფინანსო ორგანიზაციის რეგისტრაციის გაუქმების შესახებ. რეგისტრაციის გაუქმების მიზეზი გახდა უსაფრთხოების ნორმების შეუსაბამობა საქართველოს ეროვნული ბანკის რეგულაციებთან. განკარგულების შესაბამისად, ორგანიზაციას დაევალა, რომ საკუთარი დასახელებიდან ამოეღო ტერმინი „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია“ ან მისი აბრევიატურა „მისო“.

2015 წლის 22 ივნისს, მას შემდეგ რაც ორგანიზაციამ უზრუნველყო უსაფრთხოების ნორმების რეგულაციებთან შესაბამისობა, საქართველოს ეროვნული ბანკისგან მიიღო განკარგულება მიკროსაფინანსო ორგანიზაციის რეგისტრაციის აღდგენის შესახებ. შესაბამისად, ორგანიზაციას ისევ მიეცა უფლება, რომ საკუთარ დასახელებაში შეეტანა ტერმინი „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია“ ან მისი აბრევიატურა „მისო“.

2014 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ორგანიზაციის საწესდებო კაპიტალი შეადგენს 252,000 ლარს, რომელიც თანაბრად არის გადანაწილებული ზურაბ მელიქიშვილსა (50%) და ეთერ ბერიძე-მელიქიშვილზე (50%).

2014 წლის 31 დეკემბრისთვის ორგანიზაციას აქვს ფილიალების ქსელი ბათუმში, ქობულეთში, ფოთში, ზუგდიდში, ქუთაისსა და თბილისში. სათაო ოფისი მდებარეობს ქალაქ ბათუმში.

ორგანიზაციის იურიდიული მისამართია: საქართველო, ქ. ბათუმი, ფარნავაზ მეფის ქუჩა №93.

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

მომზადების საფუძვლები

მოცემული სპეციალური დანიშნულების ფინანსური ინფორმაცია ორგანიზაციის მენეჯმენტმა მოამზადა იმისთვის, რომ ორგანიზაცია გადავიდეს ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებზე 2015 წლის 31 დეკემბრისათვის. გადასვლის თარიღამდე ორგანიზაცია არ წარადგენდა ფინანსურ ანგარიშგებას ფასს-ების მიხედვით.

სპეციალური დანიშნულების ფინანსური ინფორმაციის მოსამზადებლად მენეჯმენტმა გამოიყენა საუკეთესო ცოდნა სტანდარტებისა და ინტერპრეტაციების, ფაქტებისა და გარემოებების, სააღრიცხვო პოლიტიკის, რომელსაც ორგანიზაცია გამოიყენებს, როდესაც მოამზადებს ფასს-ების სრულად შესაბამის პირველ ფინანსურ ანგარიშგებას 2015 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

მიუხედავად იმისა, რომ სპეციალური ფინანსური ინფორმაცია დაფუძნებულია მენეჯმენტის მიერ სტანდარტებისა და ინტერპრეტაციების, მიმდინარე ფაქტებისა და გარემოებების საუკეთესო ცოდნაზე, ის შეიძლება შეიცვალოს. მაგალითად, სააღრიცხვო სტანდარტების საერთაშორისო საბჭომ შესაძლოა გამოუშვას დამატებები და ცვლილებები სტანდარტებსა და ინტერპრეტაციებზე. შესაბამისად, სანამ ორგანიზაცია პირველად მოამზადებს ფასს-ის სრულად შესაბამის ფინანსურ ანგარიშგებას და განსაზღვრავს გადასვლის თარიღს ფასს 1-ის შესაბამისად, სპეციალური დანიშნულების ფინანსური ინფორმაციის ცვლილების შესაძლებლობა ვერ გამოირიცხება.

რადგან ფასს-ზე გადასვლის თარიღი არის 2014 წლის 1 იანვარი, სპეციალური დანიშნულების ფინანსური ინფორმაცია, რომელიც მომზადებულია 2014 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, არ მოიცავს წინა პერიოდის შესადარის მონაცემებს. შესაბამისად, მოცემული სპეციალური დანიშნულების ფინანსური ინფორმაცია არ ითვალისწინებს ორგანიზაციის ფინანსური ანგარიშგების სრული კომპლექტის წარდგენას.

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

შეფასების საფუძველი

სპეციალური დანიშნულების ფინანსური ინფორმაცია მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე, გარდა საწყისი აღიარებისას რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური ინსტრუმენტებისა.

ორგანიზაციის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე.

სპეციალური დანიშნულების ფინანსური ინფორმაციის ფასს-ის შესაბამისად მომზადება ითხოვს გარკვეული შეფასებებისა და დაშვებების გაკეთებას. ის ასევე მოითხოვს ორგანიზაციის მენეჯმენტისგან, რომ მსჯელობის საფუძველზე მოახდინოს ყველაზე შესაფერისი სააღრიცხვო პოლიტიკის მიღება და დანერგვა.

მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები მოცემულია სპეციალური დანიშნულების ფინანსური ინფორმაციის მე-3 შენიშვნაში.

საქმიანობის უწყვეტობა

სპეციალური დანიშნულების ფინანსური ინფორმაცია მომზადებულია ორგანიზაციის საქმიანობის უწყვეტობის საფუძველზე იმის დაშვებით, რომ ორგანიზაცია განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში. მენეჯმენტსა და დამფუძნებლებს სურვილი აქვთ, განავითარონ ორგანიზაცია საქართველოში. მენეჯმენტს სჯერა, რომ უწყვეტობის პრინციპის გამოყენება შესაფერისია ორგანიზაციისთვის. სპეციალური დანიშნულების ფინანსური ინფორმაციის მომზადებისას გამოყენებული მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა მოცემულია ქვემოთ. აღნიშნული პოლიტიკა თანმიმდევრულადაა გამოყენებული სპეციალური დანიშნულების ფინანსურ ინფორმაციაში წარმოდგენილ ყველა ინფორმაციაზე, თუ ეს სხვაგვარად არაა აღნიშნული.

ახალი და შესწორებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) გამოყენება

არც ერთ ახალ სტანდარტს, ინტერპრეტაციას ან შესწორებას, რომელიც ეფექტურია 2014 წლის 1 იანვრიდან, არ ჰქონია ორგანიზაციის სპეციალური დანიშნულების ფინანსურ ინფორმაციაზე მნიშვნელოვანი ზეგავლენა.

ახალი და რედაქტირებული, გამოქვეყნებული, მაგრამ ძალაში ჯერ არშესული ფასს-ები:

ორგანიზაცია არ იყენებს შემდეგ ახალ და რედაქტირებულ, გამოქვეყნებულ მაგრამ ძალაში ჯერ არშესულ ფასს-ებს:

- ფასს 15 – შემოსავალი კლიენტებთან გაფორმებული კონტრაქტებიდან
- ფასს 9 – ფინანსური ინსტრუმენტები

ფასს 15 – შემოსავალი კლიენტებთან გაფორმებული კონტრაქტებიდან. 2014 წლის მაისში გამოიცა ფასს 15, რომელიც მეწარმე პირებს კლიენტებთან გაფორმებული კონტრაქტებიდან მიღებული შემოსავლების აღრიცხვის ერთიან, სრულ მოდელს სთავაზობს. ძალაში შესვლის შემდეგ ფასს 15 ჩაანაცვლებს შემოსავლის აღიარების არსებულ პრინციპს, მათ შორის ბასს 18 – შემოსავლები, ბასს 11 – სამშენებლო კონტრაქტები და მათთან დაკავშირებულ ინტერპრეტაციებს.

ფასს 15-ის ამოსავალი პრინციპი იმაში მდგომარეობს, რომ პირმა შემოსავალი ისე უნდა აღიაროს, რომ ამით ასახოს კლიენტებისათვის ნაკისრი საქონლისა თუ მომსახურების გადაცემა ისეთი თანხით, რომელიც ასახავს ანაზღაურებას, რის მიღებასაც პირი ვარაუდობს ამ საქონლისა და მომსახურების სანაცვლოდ.

კერძოდ, სტანდარტი გვთავაზობს ერთ, პრინციპებზე დაფუძნებულ, ხუთეტაპიან მოდელს, რომელიც კლიენტებთან გაფორმებული ყველა კონტრაქტზე ვრცელდება:

- კლიენტთან კონტრაქტის იდენტიფიცირება;
- საკონტრაქტო ვალდებულებების დადგენა;
- ტრანზაქციის ფასის განსაზღვრა;

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

- ტრანზაქციის ფასის მიკუთვნება საკონტრაქტო ვალდებულებასთან;
- შემოსავლის აღიარება, როდესაც (ან თუ) პირი საკონტრაქტო ვალდებულებას შეასრულებს.

ფასს 15-ის მიხედვით, საწარმო შემოსავალს აღიარებს საკონტრაქტო ვალდებულების შესრულებისას, ანუ მაშინ, როდესაც შესაბამის ვალდებულებასთან დაკავშირებულ საქონელსა თუ მომსახურებაზე “კონტროლი” კლიენტს გადაეცემა. უფრო დირექტიული ხასიათის ინსტრუქცია დაემატა ისეთ თემებს, როგორიცაა, მაგალითად, შემოსავლის აღიარების მომენტი, ცვლადი ანაზღაურების აღრიცხვა, კონტრაქტის შესრულებისა და მიღების ხარჯები და სხვა მსგავსი ასპექტები. ასევე შემოდიხ შემოსავლის განმარტების ახალი მოთხოვნები.

ორგანიზაციის ხელმძღვანელობა არ ვარაუდობს, რომ აღნიშნული შესწორებების გამოყენებას ფინანსურ ანგარიშგებაზე მნიშვნელოვანი ზეგავლენა ექნება.

ფასს 9 - ფინანსური ინსტრუმენტები. 2009 წლის ნოემბერში გამოქვეყნებული ფასს 9 ახალ მოთხოვნებს აწესებს ფინანსური აქტივების კლასიფიკაციისა და გაზომვის თვალსაზრისით. 2010 წლის ოქტომბერში ფასს 9-ში შევიდა შესწორება, რომელიც ითვალისწინებს მოთხოვნებს ფინანსური ვალდებულებების კლასიფიკაციის, გაზომვისა და აღიარების გაუქმების თვალსაზრისით. 2013 წლის ნოემბერში კი მას დაემატა ახალი მოთხოვნა ჰეჯირების ზოგად აღრიცხვასთან დაკავშირებით. 2014 წლის ივლისში ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭომ გამოაქვეყნა ფასს 9-ის საბოლოო ვერსია. იგი მთლიანობაში მოიცავს ფინანსური აქტივების გაუფასურების მოთხოვნებსა და მცირე შესწორებებს, რომლებიც ფინანსური აქტივების კლასიფიკაციისა და გაზომვის მოთხოვნებს ეხება. ფასს 9 მიზნად ისახავს, ჩაანაცვლოს ბასს 39 – ფინანსური ინსტრუმენტები: აღიარება და გაზომვა.

ფასს 9-ის ძირითადი მოთხოვნები:

- **ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია და გაზომვა.** ფინანსური აქტივები კლასიფიცირდება იმ ბიზნეს-მოდელის მიხედვით, რომელშიც ხდება მათი ფლობა და საკონტრაქტო ფულადი სახსრების მოძრაობის მახასიათებლების გათვალისწინებით. კერძოდ, სავალო ინსტრუმენტები, რომლებსაც პირი ფლობს ისეთი ბიზნეს მოდელით, რომლის მიზანი საკონტრაქტო ფულადი სახსრების შეკრებაა და რომელთა საკონტრაქტო ფულადი სახსრები მხოლოდ ძირითადი თანხისა და მის დარჩენილ ნაწილზე დარიცხულ პროცენტს მოიცავს, თავდაპირველი აღიარების შემდგომ გაიზომოს ამორტიზებული ღირებულებით. ფასს 9-ის 2014 წლის რედაქციაში შემოტანილია სავალო ინსტრუმენტების აღრიცხვის ახალი კატეგორია “რეალური ღირებულება სხვა სრული შემოსავალში”. აღნიშნული ეხება სავალო ინსტრუმენტებს, რომლებიც მოქცეულია ისეთ ბიზნეს-მოდელში, რომლის მიზანი მიიღწევა საკონტრაქტო ფულადი ნაკადების შეგროვებითა და ფინანსური აქტივების გაყიდვით. აღნიშნულ სავალო ინსტრუმენტებში გათვალისწინებული უნდა იყოს ფინანსური აქტივის საკონტრაქტო პირობები, რომლებიც კონკრეტულ დღეს წარმოშობს ისეთი ფულადი სახსრების მოძრაობას, რაც ძირითადი თანხის გადახდებსაც წარმოადგენს და დარჩენილი თანხის პროცენტის გადახდებსაც. ამგვარი სავალო ინსტრუმენტები, თავდაპირველი აღიარების შემდეგ, იზომება რეალური ღირებულებით სხვა სრულ შემოსავლებში. ყველა სხვა სავალო და წილობრივი ინსტრუმენტები იზომება რეალური ღირებულებით. გარდა ამისა, ფასს 9-ის მიხედვით, პირს შეუძლია შეუქცევადად წარმოადგინოს კაპიტალში ინვესტიციის (არა სავაჭროდ განკუთვნილისა) რეალური ღირებულების რეტროსპექტიული ცვლილებები და მოგება-ზარალში მხოლოდ დივიდენდური შემოსავლები ასახოს.

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

- **ფინანსური ვალდებულებების კლასიფიკაცია და გაზომვა.** ფინანსური ვალდებულებები ბასს 39-ის მოთხოვნების მსგავსად კლასიფიცირდება. თუმცა, არსებობს განსხვავება მეწარმე პირის საკრედიტო რისკის გაზომვის მოთხოვნებში. ფასს 9 ითხოვს, რომ ამ ვალდებულების საკრედიტო რისკის ცვლილებით გამოწვეული რეალური ღირებულების ცვლილების ოდენობა წარმოდგენილი იქნეს სხვა სრულ შემოსავლებში, თუ ვალდებულების საკრედიტო რისკის ცვლილების შედეგების აღიარება სხვა სრულ შემოსავლებში საბუღალტრო შეუსაბამობას შექმნის ან გაზრდის მას მოგება-ზარალში. ფინანსური ვალდებულების საკრედიტო რისკით გამოწვეული რეალური ღირებულების ცვლილება შემდგომში მოგება-ზარალში არ რეკლასიფიცირდება. გაუფასურება. ფასს 9-ის 2014 წლის რედაქციაში შემოტანილია ფინანსური აქტივების გაუფასურების გაზომვის “მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგის” მოდელი, რაც ბასს 39-ის გაწეული საკრედიტო დანაკარგის მოდელის საპირისპიროა. მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგის მოდელი მეწარმე პირს ავალდებულებს, ყოველ საანგარიშო დღეს აღრიცხოს მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგები და მათი ცვლილება ისე, რომ მან ასახოს საკრედიტო რისკის ცვლილება თავდაპირველი აღიარების შემდგომ. სხვაგვარად რომ ვთქვათ, აღარ არის აუცილებელი საკრედიტო დანაკარგის აღიარება წინ საკრედიტო ხდომილება უსწრებდეს.
- **ჰეჯირების აღრიცხვა.** შემოტანილია ჰეჯირების აღრიცხვის ახალი მოდელი, რომელიც უფრო კარგად შეესაბამება ფინანსური და არაფინანსური რისკის პოზიციების ჰეჯირებისას მეწარმის რისკის მართვის ზომების ხასიათისას. ფასს 9 მეწარმეებს სთავაზობს უფრო მოქნილ მიდგომას ჰეჯირების აღრიცხვის ტრანზაქციების ტიპებთან მიმართებაში. კერძოდ, გაფართოებულია იმ ინსტრუმენტების სახეობათა რიგი, რომლებიც კლასიფიცირდება ჰეჯირების ინსტრუმენტებად და არასაფინანსო ერთეულების რისკის კომპონენტების ისეთი ტიპების რაოდენობა, რომლებიც შეიძლება ჰეჯირების აღრიცხვისთვის გამოვიყენოთ. გარდა ამისა, ეფექტურობის ტესტი გაუქმდა და ჩანაცვლდა “ეკონომიკური ურთიერთობის” პრინციპით. ასევე აღარ არის საჭირო ჰეჯირების ეფექტურობის რეტროსპექტიული შეფასება. შემოტანილია განმარტების გაზრდილი მოთხოვნები მეწარმის რისკის მართვის ღონისძიებებთან დაკავშირებით.
- **აღიარების შეწყვეტა.** ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების აღიარების შეწყვეტის მოთხოვნები გადმოტანილია ბასს 39-დან.

სტანდარტი სავალდებულოდ ძალაში შედის 2018 წლის 1 იანვარს. დასაშვებია მისი ვადამდე ადრე დანერგვა. ფასს 9-ის გამოყენების შერჩეული მიდგომის გათვალისწინებით, სტანდარტზე გადასვლისას შესაძლებელია, სხვადასხვა მოთხოვნა ანგარიშგების მომზადებისას ერთდროულად კი არ იქნეს გათვალისწინებული, არამედ სხვადასხვა დროს.

ორგანიზაციის ხელმძღვანელობის პროგნოზით, მომავალში ფასს 9-ის გამოყენებამ შეიძლება მნიშვნელოვანი ზეგავლენა იქონიოს ფინანსურ აქტივებთან და ფინანსურ ვალდებულებებთან დაკავშირებით ნაჩვენებ თანხებზე. ორგანიზაციას ჯერ არ შეუფასებია აღნიშნული ცვლილებების ეფექტი ფინანსურ ანგარიშგებაზე.

2. მნიშვნელოვანი საღირცხოვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

შეფასებისა და წარდგენის ვალუტა

ოპერაციებში ორგანიზაცია ფუნქციონალურ ვალუტად იყენებს ქართულ ლარს, რომელსაც მნიშვნელოვანი გავლენა აქვს ორგანიზაციის ოპერაციებზე. მოცემული სპეციალური დანიშნულების ფინანსური ინფორმაციისთვის შეფასების ვალუტად ორგანიზაცია იყენებს ქართულ ლარს.

ოპერაციები შეფასების ვალუტისგან განსხვავებულ ვალუტაში განიხილება, როგორც ოპერაცია უცხოურ ვალუტაში და აღირიცხება ბასს 21-ს „სავალუტო კურსების ცვლილებათა გავლენა“ მოთხოვნის შესაბამისად.

უცხოური ვალუტის კონვერტირება

უცხოურ ვალუტაში ასახული აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლის ოფიციალური კურსის შესაბამისად, წლის ბოლოსათვის. კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება მოგებისა და ზარალის ანგარიშებზე. უცხოურ ვალუტაში გამოხატული შედეგები აღირიცხება ოპერაციის განხორციელების დღეს არსებული გაცვლის კურსის შესაბამისად.

	აშშ დოლარი	ევრო
კურსი 2014 წლის 31 დეკემბრისათვის	1.8636	2.2656
კურსი 2014 წლის 1-ლი იანვრისათვის	1.7363	2.3891

ფინანსური ინსტრუმენტები

შეფასების ძირითადი ტერმინები

ფინანსური ინსტრუმენტები მათი კლასიფიკაციის მიხედვით წარმოდგენილია რეალური ღირებულებით, თვითღირებულებით ან ამორტიზებული ღირებულებით, როგორც ქვემოთაა აღწერილი:

რეალური ღირებულება განისაზღვრება როგორც ფასი, რომელიც მიიღება აქტივის გაყიდვისას ან გადაიხდება ვალდებულებების გადაცემისას ჩვეულებრივი ოპერაციისას ბაზრის მონაწილეებს შორის შეფასების თარიღისათვის. რეალური ღირებულება არის მიმდინარე შეთავაზებული ღირებულება ფინანსური აქტივებისათვის ან მიმდინარე მოთხოვნილი ფასი ფინანსური ვალდებულებებისათვის, რომლებიც კოტირებულია აქტიურ ბაზრებზე. ფინანსური ინსტრუმენტი განიხილება როგორც აქტიურ ბაზარზე კოტირებული თუ კოტირებული ფასები შესაძლებელია ადვილად და რეგულარულად მივიღოთ გაცვლით ან სხვა გზით და წარმოადგენს ფაქტიურ ფასს რეგულარულად განხორციელებულ საბაზრო ოპერაციებზე გამლილი ხელის მანძილის პრინციპით.

თვითღირებულება არის გადახდილი ფული ან ფულის ექვივალენტი, ან უშუალოდ შეძენის მომენტისთვის აქტივის შესაძენად გაწეული სხვა დანახარჯის რეალური ღირებულება, რაც მოიცავს ოპერაციის დანახარჯებს.

ამორტიზებული ღირებულება არის ფინანსური ინსტრუმენტის თავდაპირველად აღიარებულ ოდენობას გამოკლებული ძირის გადახდები, დამატებული დარიცხული პროცენტი, ხოლო ფინანსური აქტივებისთვის აღნიშნულ ოდენობას აკლდება ასევე გაუფასურების ზარალი. დარიცხული პროცენტი მოიცავს ტრანზაქციის ღირებულების ამორტიზაციას, რომელიც გადავადებული იქნა თავდაპირველი აღიარებისას და სხვა ნებისმიერ ზედმეტ ან ნაკლებ გადასახადს ვადის შესაბამისად ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. დარიცხული საპროცენტო შემოსავალი და დარიცხული საპროცენტო ხარჯი არ არის ცალე წარმოდგენილი და შედის შესაბამისი საბალანსო მუხლის ღირებულებაში.

ტრანზაქციის ხარჯი მოიცავს დამატებით ხარჯებს, რომელიც პირდაპირ მიეკუთვნება ფინანსური ინსტრუმენტის შეძენას, გაცემას ან გასხვისებას. დამატებითი ხარჯია ისეთი ხარჯი, რომელიც არ იქნებოდა გაწეული თუ ტრანზაქცია არ განხორციელდებოდა. ტრანზაქციის ხარჯი მოიცავს გასამრჯელოებსა და საკომისიოებს, რომლებსაც უხდიან აგენტებს (მათ შორის თანამშრომლებს, რომლებიც მოქმედებენ როგორც გაყიდვების აგენტები), მრჩეველებს, ბროკერებსა და დილერებს, მარეგულრებელი ორგანოებისა და საფონდო ბირჟის მიერ დაწესებულ ბეგარას, სატრანსფერო გადასახდსა და ვალდებულებებს.

ტრანზაქციის ხარჯი არ მოიცავს სესხის დისკონტსა თუ ფასნამატს, დაფინანსების ხარჯებსა და შიდა ადმინისტრაციულ ან შენახვის ხარჯებს.

2. მნიშვნელოვანი საღრიცხო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ფინანსური აქტივები

ორგანიზაცია განსაზღვრავს მისი ფინანსური აქტივების კლასიფიკაციას თავდაპირველი აღიარებისას ქვემოთ განმარტებული ჯგუფების მიხედვით.

ორგანიზაცია არ ფლობს დაფარვის ვადამდე ფლობილ ინვესტიციებს, გასაყიდად არსებულ ან რეალური ღირებულებით აღრიცხულ ფინანსურ აქტივებს მოგებაში ან ზარალში ასახვით.

სესხები და მოთხოვნები

ეს აქტივები წარმოადგენს არაწარმოებულ ფინანსურ აქტივებს ფიქსირებული ან განსაზღვრადი გადასახდელებით, რომელთა ფასი არ არის კოტირებული აქტიურ ბაზრებზე. მათი თავდაპირველი აღიარება ხდება რეალური ღირებულებით იმ ტრანზაქციის დანახარჯების ჩათვლით, რომელიც პირდაპირაა დაკავშირებული მის შეძენასა ან გაცემასთან, ხოლო შემდგომ აღიარებულია გაუფასურების რეზერვით შემცირებული ამორტიზებადი ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

ორგანიზაციის სესხები და მოთხოვნები მოიცავს გაცემულ სესხებსა და საბანკო ანგარიშებზე განთავსებულ ფულად სახსრებს.

ფინანსური აქტივების გაუფასურება

ორგანიზაცია ანგარიშგების შედგენის თარიღით ახდენს ფინანსური აქტივების გაუფასურების რეზერვის შეფასებას. თუ არსებობს ობიექტური საფუძველი იმისა, რომ ამორტიზირებული ღირებულებით ასახული აქტივის გაუფასურებით გამოწვეული იქნება ზარალი, ზარალის მოცულობა აისახება როგორც სხვაობა აქტივის საბალანსო ღირებულებასა და სავარაუდო სამომავლო ფულადი ნაკადების მიმდინარე მოცულობას შორის (სამომავლო ზარალის გამოკლებით, რომელსაც ადგილი არ ჰქონია), რომელიც დისკონტირებულია ფინანსური აქტივის ეფექტური საპროცენტო განაკვეთით (ე.ი. იმ ეფექტური საპროცენტო განაკვეთით, რომელიც გაანგარიშებულია თავდაპირველად აღიარებისას). აქტივის საბალანსო ღირებულების შემცირება შესაძლებელია რეზერვის ანგარიშის გამოყენებით. ზარალის აღიარება უნდა მოხდეს მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

თუ შემდგომ პერიოდში გაუფასურების ზარალის თანხა მცირდება და შემცირება შესაძლოა ობიექტურად დაუკავშირდეს გაუფასურების აღრიცხვის შემდგომ მოვლენას, ხდება წინასწარ აღიარებული გაუფასურების ზარალის კომპენსირება. გაუფასურების ზარალის ნებისმიერი შემდგომი კომპენსირება აისახება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში იმ პირობით, რომ აქტივის საბალანსო ღირებულება არ აღემატება მის ამორტიზებულ ღირებულებას კომპენსირების დღეს.

ფინანსური აქტივების აღიარების შეწყვეტა

ორგანიზაცია წყვეტს ფინანსური აქტივის აღიარებას მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც:

- ფინანსური აქტივიდან მისაღები ფულადი სახსრების მიღების საკონტრაქტო უფლებებს ვადა გასდის; ან
- იგი გადასცემს ფინანსურ აქტივთან დაკავშირებული ფულადი ნაკადების მიღების უფლებას, ან შედის ისეთ გარიგებაში, როდესაც: (i) აქტივის გასვლასთან ერთად ხდება ყველა არსებითი რისკისა და სარგებლის ორგანიზაციიდან გასვლა; ან (ii) ორგანიზაცია არ გადასცემს აქტივის ფლობასთან დაკავშირებულ არსებით რისკსა და სარგებელს, მაგრამ ასევე არ ინარჩუნებს კონტროლს ამ აქტივზე. კონტროლის შენარჩუნება ხდება, თუ კონტრაგენტს არ აქვს უფლება, გაყიდოს აქტივი მესამე მხარეზე, გაყიდვასთან დაკავშირებული დამატებითი შეზღუდვების გათვალისწინების გარეშე.

2. მნიშვნელოვანი სადრიცხო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ფინანსური ვალდებულებები

ფინანსური ვალდებულებები სპეციალური დანიშნულების ფინანსურ ინფორმაციაში წარმოდგენილია მიღებული სესხების სახით. ფინანსური ვალდებულებები თავდაპირველად შეფასებულია რეალური ღირებულებით, განტებული ტრანზაქციების ხარჯებით. ფინანსური ვალდებულებები შემდგომ აღიარდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო მეთოდის მიხედვით.

ეფექტური საპროცენტო მეთოდი წარმოადგენს ფინანსური ვალდებულების ამორტიზებული ღირებულების გამოთვლისა და ასევე საპროცენტო ხარჯის შესაბამის პერიოდზე განაწილებისათვის გამოყენებულ მეთოდს. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომელიც ზუსტად ახდენს მომავალი ფულადი გადახდების დისკონტირებას ფინანსური ვალდებულების მოსალოდნელი პერიოდის განმავლობაში, ან (სადაც საჭიროა) მოკლევადიანი პერიოდის განმავლობაში, საწყისი აღიარების წმინდა საბალანსო ღირებულებამდე.

ფინანსური ვალდებულებების აღიარების შეწყვეტა

ორგანიზაცია ფინანსური ვალდებულებების აღიარებას წყვეტს მაშინ, როდესაც ვალდებულება სრულდება, უქმდება, ან გასდის ვადა. სადაც არსებული ფინანსური ვალდებულება ენაცვლება მეორეს იმავე მსესხებლის მიმართ მნიშვნელოვნად განსხვავებული პირობებით, ან არსებული ვალდებულების პირობები მნიშვნელოვნად იცვლება, ამგვარი ცვლილება ან მოდიფიკაცია ითვლება თავდაპირველი ვალდებულების აღიარების შეწყვეტად და ახალი ვალდებულების აღიარებად და სხვაობა საბალანსო ღირებულებასა და გადახდილ, ან გადასახდელ ანაზღაურებას შორის აისახება მოგებასა და ზარალში.

ურთიერთგადახურვა

ფინანსური აქტივები და ვალდებულებები ერთმანეთში გადაიხურება და სპეციალური დანიშნულების ფინანსურ ინფორმაციაში წარდგება ნეტო თანხა, მხოლოდ მაშინ, როდესაც არსებობს შესაბამისი იურიდიული უფლება და სურვილი აღნიშნული არსებითი თანხების ურთიერთგადახურვისთვის.

ფული და ფულის ეკვივალენტები

ფულადი სახსრები და მისი ეკვივალენტები წარმოადგენს აქტივთა ჯგუფს, რომლის კონვერტირებაც შესაძლებელია წინასწარ განსაზღვრული ღირებულებით და უმნიშვნელო რისკის მატარებელია ღირებულების ცვლილებების თვალსაზრისით. ფული და ფულადი ეკვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს და ფულად სახსრებს საბანკო ანგარიშებზე.

ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები

ძირითადი საშუალების ერთეულის საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით. თვითღირებულების კომპონენტები მოიცავს შეძენის ფასსა და უშუალოდ დაკავშირებულ დანახარჯებს, რომლებიც აუცილებელია აქტივის სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად.

თავდაპირველი ღირებულების შემდეგ, აქტივი ფასდება თვითღირებულებით, რომელიც შემცირებულია ნებისმიერი აკუმულირებული ცვეთის და გაუფასურების ზარალის თანხით.

ძირითად საშუალებებზე ცვეთის დარიცხვა ხდება მათი მომსახურების ვადის განმავლობაში, სისტემატურ საფუძველზე, წრფივი მეთოდით. ცვეთის დარიცხვისას არ გაითვალისწინება აქტივის ნარჩენი ღირებულება.

ორგანიზაციის არამატერიალური აქტივები წარმოდგენილია კომპიუტერული პროგრამების სახით. ისინი აღირიცხება თვითღირებულებისა და აკუმულირებული ამორტიზაციის სხვაობის თანხით. არამატერიალური აქტივებზე ამორტიზაციის დარიცხვა ხდება მათი სახარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში, სისტემატურ საფუძველზე, წრფივი მეთოდით.

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ქვემოთ მოცემულია ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივების ცვეთის/ამორტიზაციის გაანგარიშებისთვის გამოყენებული სასარგებლო მომსახურების ვადები:

ჯგუფი	წელი
ოფისის აღჭურვილობა	3 - 10
დაცვის სისტემა	5 - 7
ავეჯი	5 - 7
სატრანსპორტო საშუალებები	8
იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	5
არამატერიალური აქტივები	5 - 7

სასარგებლო მომსახურების პერიოდი და ცვეთის მეთოდი მიმოხილვა ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, ღირებულების ცვლილების ეფექტის გათვალისწინებით, პერსპექტიულ საფუძველზე.

მიმდინარე და გადავადებული მოგების გადასახადი

გადასახადის ხარჯი შედგება პერიოდის მიმდინარე და გავადებული გადასახადისგან. გადასახადი აღიარებულია მოგება-ზარალში იმ შემთხვევის გარდა, თუ ის აღიარდება სხვა სრულ შემოსავალში ან პირდაპირ კაპიტალში.

ორგანიზაციის მიმდინარე საგადასახადო ხარჯი, რომელიც დაკავშირებულია მის ძირითად საქმიანობასთან, გაანგარიშებულია საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად. სპეციალური დანიშნულების ფინანსური ინფორმაციის მიზნებისათვის, მოგების გადასახადის მიმდინარე ხარჯები კორექტირდება გადავადებული გადასახადების თანხებით, რომლებიც წარმოიშობა სხვაობიდან აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო და საგადასახადო ღირებულებებს შორის. ასეთი კორექტირებები გამოიწვევს გადავადებული საგადასახადო აქტივების ან გადავადებული საგადასახადო ვალდებულებების ასახვას.

გადავადებული საგადასახადო აქტივების აღიარება ხდება ვალდებულებების საბუღალტრო ბალანსის მიხედვით გაანგარიშების მეთოდით. გადავადებული მოგების გადასახადი არ აღიარდება, თუ ის წარმოშობილია აქტივის ან ვალდებულების თავდაპირველი აღიარების შედეგად, რომელიც ოპერაციის მოხდენის დროს გავლენას არ ახდენს არც საგადასახადო და არც ფინანსურ ბაზაზე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ეს დაკავშირებულია ბიზნეს კომბინაციასთან. გადავადებული საგადასახადო აქტივებისა და ვალდებულებების თანხა იანგარიშება გადასახადის მოსალოდნელი განაკვეთიდან, რომელიც უნდა იქნას გამოყენებული იმ წლებში, როდესაც დროებითი სხვაობის თანხა შეიძლება ანაზღაურებული ან რეალიზებული იყოს.

გადავადებული საგადასახადო აქტივების აღიარება ხდება იმ შემთხვევაში, როცა არსებობს იმის ალბათობა, რომ დასაბეგრი მოგების მომავალი თანხები საკმარისი იქნება გადავადებული საგადასახადო აქტივების გამოსაყენებლად. გადავადებული საგადასახადო აქტივის აღიარება ხდება მხოლოდ იმ შემთხვევაში (და იმ ოდენობით) როდესაც მოსალოდნელია, რომ მომავალში იარსებებს დასაბეგრი მოგება, რის ხარჯზეც მოხდება აღნიშნული აქტივის გაქვითვა. გადავადებული საგადასახადო აქტივი და ვალდებულება გადაიხურება იმ შემთხვევაში, როდესაც არსებობს მიმდინარე საგადასახადო აქტივის მიმდინარე საგადასახადო ვალდებულებასთან გადახურვის სამართლებრივი უფლება და როდესაც გადავადებული საგადასახადო აქტივი და ვალდებულება წარმოშობილია ერთი და იმავე საგადასახადო კანონმდებლობის შედეგად, რომლის დროსაც აქტივის და ვალდებულების წმინდა თანხით წარდგენა შესაძლებელია.

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

საპროცენტო შემოსავლების და ხარჯების აღიარება

საპროცენტო შემოსავალი და ხარჯი აისახება ყველა სავალ ინსტრუმენტთან მიმართებაში დარიცხვის პრინციპის საფუძველზე ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. ეს მეთოდი, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გაანგარიშებისთვის ითვალისწინებს ხელშეკრულების მხარეებს შორის გადახდილ ან მიღებულ ყველა სახის გადასახდელს, მათ შორის ტრანზაქციის დანახარჯებს, ფასნამატებსა და ფასდაკლებებს რაც წარმოადგენს ეფექტური საპროცენტო განაკვეთის განუყოფელ ნაწილს.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთის განუყოფელი მოსაკრებლები მოიცავენ გაცემის საკომისიოს, რომელიც მიიღება ან გადაიხდებიან პირის მიერ ფინანსური აქტივის შექმნასთან ან შეძენასთან დაკავშირებით ან ფინანსური ვალდებულების გამოცემასთან დაკავშირებით, მაგ. კრედიტუნარიანობის შეფასების საფასური,

გარანტიების ან გირაოს შეფასება და გატარება, ინსტრუმენტის პირობების მოლაპარაკება და ოპერაციის დოკუმენტების დამუშავება. ორგანიზაციის მიერ მიღებული სესხის გაცემის ვალდებულების სანაცვლოდ მიღებული საკომისიო წარმოადგენს ეფექტური საპროცენტო განაკვეთის განუყოფელ ნაწილს თუ მოსალოდნელია, რომ ორგანიზაცია გააფორმებს კონკრეტულ საკრედიტო ურთიერთობას და არ ელის სესხის რეალიზებას მისი წარმოქმნიდან მოკლე პერიოდშივე. ორგანიზაცია არ განსაზღვრავს საკრედიტო ვალდებულებებს ფინანსურ ვალდებულებად რეალური ღირებულებით მოგება-ზარალის საშუალებით.

როდესაც სესხების და სხვა ვალის ინსტრუმენტების ამოღება საეჭვო ხდება, მათი ჩამოწერა ხდება მოსალოდნელი ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულებამდე და საპროცენტო შემოსავალი აღირიცხება მიმდინარე ღირებულების დისკონტის საფუძველზე აქტივის ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით, გაუფასურების ზარალის შესაფასებლად.

ყველა სხვა მოსაკრებელი და საკომისიო, ასევე სხვა შემოსავლები და ხარჯები ზოგადად ტარდება დარიცხვის საფუძველზე კონკრეტული ოპერაციის დასრულებასთან მიმართებით, რომელიც ფასდება ფაქტიურად უზრუნველყოფილი მომსახურების საფუძველზე, როგორც მისაწოდებელი სრული მომსახურების შემადგენელი ნაწილი.

საოპერაციო იჯარა

ორგანიზაცია იჯარას აკლასიფიცირებს საოპერაციო იჯარად, თუ იგი არ ითვალისწინებს აქტივის ფლობასთან დაკავშირებული ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას. საიჯარო გადასახდელებს და შემოსავლებს ორგანიზაცია აღიარებს საიჯარო ვადის განმავლობაში წრფივი მეთოდის მიხედვით.

ხარჯების აღიარება

ხარჯების აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, თუ წარმოიშობა მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირება, რაც დაკავშირებულია აქტივის შემცირებასა ან ვალდებულების ზრდასთან, რაც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს.

ხარჯები გაწევისთანავე აღიარდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში, თუ ხარჯებისგან ეკონომიკური სარგებლის მოტანა მომავალში აღარაა მოსალოდნელი ან თუ მომავალი ეკონომიკური სარგებელი აღარ აკმაყოფილებს ბალანსში აქტივად აღიარების კრიტერიუმებს.

ხელფასები

ხელფასები, ბონუსები და არაფულადი სარგებელი აღიარდება დარიცხვის მეთოდით იმ პერიოდში, როდესაც შესაბამისი სერვისი მიიღო ორგანიზაციამ დასაქმებულისგან.

ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები

ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევიან ორგანიზაციის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება სპეციალური დანიშნულების ფინანსურ ინფორმაციაში. ბალანსის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენენ ორგანიზაციის ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისთვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება სპეციალური დანიშნულების ფინანსური ინფორმაციის თანდართულ შენიშვნებში.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები

ორგანიზაცია ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და გადაწყვეტილებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის. შეფასებები და გადაწყვეტილებები შემუშავებულია გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, რომელიც ითვალისწინებს საწარმოს ფუნქციონირებას განსაზღვრული მომავლის პირობებში. მომავალ პერიოდებში მიღებული გამოცდილება შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისაგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია:

- **მოგების გადასახადი.** ორგანიზაციის ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში არსებობს ისეთი ოპერაციები, რომელთათვისაც ნათლად არ არის განსაზღვრული ამა თუ იმ გადასახადთან დაკავშირებული საკითხები. შედეგად, ორგანიზაცია აფასებს, ეკისრება თუ არა მას დამატებითი გადასახადის გადახდის ვალდებულება, და მათზე დაყრდნობით აღიარებს საგადასახადო ვალდებულებებს. ეს საგადასახადო ვალდებულებები აღიარდება მაშინ, როდესაც ორგანიზაციას მიაჩნია თავისი საგადასახადო დეკლარაციები საიმედოდ, მაგრამ იგი თვლის, რომ შესაძლოა საგადასახადო ორგანოების მხრიდან გარკვეული პოზიცია იყოს განსხვავებული. შედეგად, ორგანიზაციას მინიმუმამდე დაყავს აღნიშნული რისკი. ორგანიზაციას სჯერა, რომ ყველა აუდიტირებული პერიოდისთვის მის მიერ დარიცხული საგადასახადო ვალდებულებები ეფუძნება მრავალ ფაქტორს, მათ შორის წარსულ გამოცდილებას და საგადასახადო კანონმდებლობას. ეს განსაზღვრება ეფუძნება შეფასებებსა და დაშვებებს, და შეიძლება მოიცავდეს კომპლექსურ მსჯელობებს მომავალი მოვლენების შესახებ. იმ შემთხვევაში, თუ საბოლოო საგადასახადო შედეგი განსხვავებული იქნება დარიცხული თანხებისგან, სხვაობები გავლენას მოახდენს იმ პერიოდის მოგების გადასახადის ხარჯზე, რა პერიოდშიც ეს გახდება ცნობილი.
- **ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები.** ძირითად საშუალებებზე ცვეთის დარიცხვა ხდება მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრა ხდება ხელმძღვანელობის შეფასებებზე დაყრდნობით, თუ რა პერიოდის განმავლობაში აპირებს ორგანიზაცია აქტივიდან სარგებლის მიღებას. პერიოდულად ხდება შეფასებების სისწორის შემოწმება. სააღრიცხვო შეფასებების ცვლილებებმა შეიძლება მნიშვნელოვანი ვარიაციები გამოიწვიოს საბალანსო ღირებულებებსა და პერიოდის სრული შემოსავლის მუხლებში.

შპს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ბერმელი

სპეციალური დანიშნულების ფინანსური ინფორმაციის განმარტებითი შენიშვნები

2014 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშო წლისათვის

(ლარებში)

4. საპროცენტო შემოსავალი, წმინდა

საპროცენტო შემოსავალი, წმინდა 2014 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2014 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
საპროცენტო შემოსავალი მოიცავს:	
საპროცენტო შემოსავალი გაცემულ სესხებზე	6,660,169
სულ საპროცენტო შემოსავალი	6,660,169
საპროცენტო ხარჯი მოიცავს:	
საპროცენტო ხარჯი იურიდიული პირებისგან აღებულ სესხებზე	(1,060,723)
საპროცენტო ხარჯი ფიზიკური პირებისგან აღებულ სესხებზე	(994,693)
სულ საპროცენტო ხარჯი	(2,055,416)
წმინდა საპროცენტო შემოსავალი გაუფასურების რეზერვამდე	4,604,753

5. ხელფასები და თანამშრომელთა სხვა სარგებელი

ხელფასები და თანამშრომელთა სხვა სარგებელი 2014 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2014 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
ხელფასი	(724,790)
ბონუსი და თანამშრომელთა სხვა სარგებელი	(21,729)
სულ ხელფასი და თანამშრომელთა სხვა სარგებელი	(746,519)

შპს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ბერმელი

სპეციალური დანიშნულების ფინანსური ინფორმაციის განმარტებითი შენიშვნები

2014 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშო წლისათვის

(ლარებში)

6. ადმინისტრაციული და სხვა საერთო ხარჯები

ადმინისტრაციული და სხვა საერთო ხარჯები 2014 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2014 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
იჯარა	(352,115)
სარეკლამო ხარჯები	(90,569)
ცვეთა და ამორტიზაცია	(62,805)
აქტივების გაუფასურება	(59,745)
პრობლემურ კლიენტებთან დაკავშირებული სასამართლოს ხარჯები	(48,858)
პროფესიული მომსახურება	(40,309)
კომუნიკაცია	(29,137)
შეკეთება და შენახვა	(25,850)
კომუნალური ხარჯი	(12,114)
საკანცელარიო ხარჯი	(10,577)
ოფისის აღჭურვილობა	(7,737)
ბანკის მომსახურების საკომისიო	(5,350)
საწვავის ხარჯი	(3,694)
ქონების გადასახადი	(2,478)
სხვა ხარჯები	(8,349)
სულ საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	(759,687)

7. წმინდა შემოსავალი საკურსო სხვაობიდან

წმინდა შემოსავალი საკურსო სხვაობიდან 2014 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2014 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
კურსთა შორის სხვაობიდან წარმოქმნილი რეალიზებული მოგება	22,600
კურსთა შორის სხვაობიდან წარმოქმნილი არარეალიზებული მოგება	653,315
სულ კურსთა შორის სხვაობიდან წარმოქმნილი წმინდა მოგება	675,915

შპს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ბერმელი

სპეციალური დანიშნულების ფინანსური ინფორმაციის განმარტებითი შენიშვნები

2014 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშო წლისათვის

(ლარებში)

8. მოგების გადასახადის ხარჯი

მოგების გადასახადის ხარჯი 2014 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2014 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
მიმდინარე გადასახადი	(574,607)
დროებითი სხვაობის ეფექტი	13,908
მოგების გადასახადის ხარჯი	(560,699)

რეკონსილაცია ფაქტიურ და მოსალოდნელ მოგების გადასახადს შორის წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2014 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
მოგება დაბეგრამდე	3,328,326
გადასახადის განაკვეთი	15%
თეორიული მოგების გადასახადი	(499,249)
ხარჯები, რომლებიც არ გამოიქვითება საგადასახადი მიზნებისათვის	(61,450)
მოგების გადასახადის ხარჯი	(560,699)

9. ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები 2014 წლის 31 დეკემბრის და 2014 წლის 1 იანვრის მდომარეობით წარმოდგენილია შემდეგი სახით:

	31 დეკემბერი 2014	1 იანვარი 2014
ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში	132,885	21,836
ნაღდი ფული უცხოურ ვალუტაში	626,641	120,822
ფული ბანკის მიმდინარე ანგარიშებზე	1,749	274
სულ ფული და ფულის ეკვივალენტები	761,275	142,932

ფული და ფულის ეკვივალენტები ვალუტების მიხედვით წარმოდგენილია მე-16 შენიშვნაში.

შპს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ბერმელი

სპეციალური დანიშნულების ფინანსური ინფორმაციის განმარტებითი შენიშვნები

2014 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშო წლისათვის

(ლარებში)

10. კლიენტებზე გაცემული სესხები

კლიენტებზე გაცემული სესხები 2014 წლის 31 დეკემბრის და 2014 წლის 1 იანვრის მდომარეობით წარმოდგენილია შემდეგი სახით:

	31 დეკემბერი 2014	1 იანვარი 2014
სესხის ძირი	25,517,841	17,193,388
დარიცხული სარგებელი	1,452,742	744,423
კლიენტებზე გაცემული სესხები გაუფასურებამდე	26,970,583	17,937,811

გაცემული სესხების ძირი და მათზე დარიცხული სარგებელი (ვალუტების მიხედვით) 2014 წლის 31 დეკემბრისა და 2014 წლის 1 იანვრის მდომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31 დეკემბერი 2014		1 იანვარი 2014	
	დოლარი	ლარი	დოლარი	ლარი
სესხის ძირი	23,347,457	2,170,384	16,459,134	734,254
დარიცხული სარგებელი	1,372,819	79,923	711,834	32,589
გაცემული სესხები გაუფასურებამდე	24,720,276	2,250,307	17,170,968	766,843

გაცემული სესხების ძირი სახეობების მიხედვით შეიძლება წარმოდგენილ იქნეს შემდეგნაირად:

	31 დეკემბერი 2014	1 იანვარი 2014
სალომბარდო სესხები	10,190,949	6,648,625
იპოთეკური სესხები	9,540,705	6,939,002
ბიზნეს სესხები	5,338,707	3,289,055
ავტო სესხები	447,480	316,706
სულ გაცემული სესხების ძირი	25,517,841	17,193,388

ინფორმაცია უზრუნველყოფის შესახებ გაცემული სესხების ძირის მიხედვით 2014 წლის 31 დეკემბრის მდომარეობით შეიძლება წარმოდგენილ იქნეს შემდეგნაირად:

	სალომბარდო სესხები	იპოთეკური სესხები	ბიზნეს სესხები	ავტო სესხები	სულ
უზრუნველყოფილი სესხები:	10,190,949	9,540,705	4,042,530	447,480	24,221,664
უძრავი ქონება	-	9,540,705	4,042,530	-	13,583,235
მოძრავი ქონება	10,190,949	-	-	447,480	10,638,429
არაუზრუნველყოფილი სესხები	-	-	1,296,177	-	1,296,177
სულ გაცემული სესხების ძირი	10,190,949	9,540,705	5,338,707	447,480	25,517,841

შპს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ბერმელი

სპეციალური დანიშნულების ფინანსური ინფორმაციის განმარტებითი შენიშვნები

2014 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშო წლისათვის

(ლარებში)

10. კლიენტებზე გაცემული სესხები (გაგრძელება)

ინფორმაცია უზრუნველყოფის შესახებ გაცემული სესხების ძირის მიხედვით 2014 წლის 1 იანვრის მდგომარეობით შეიძლება წარმოდგენილ იქნეს შემდეგნაირად:

	სალომბარდო სესხები	იპოთეკური სესხები	ბიზნეს სესხები	ავტო სესხები	სულ
უზრუნველყოფილი სესხები:	6,648,625	6,939,002	3,256,237	316,706	17,160,570
უძრავი ქონება	-	6,939,002	3,256,237	-	10,195,239
მოძრავი ქონება	6,648,625	-	-	316,706	6,965,331
არაუზრუნველყოფილი სესხები	-	-	32,818	-	32,818
სულ გაცემული სესხების ძირი	6,648,625	6,939,002	3,289,055	316,706	17,193,388

11. სხვა აქტივები

სხვა აქტივები 2014 წლის 31 დეკემბრის და 2014 წლის 1 იანვრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგი სახით:

	31 დეკემბერი 2014	1 იანვარი 2014
გადახდილი ავანსები	58,948	26,536
სხვა მოთხოვნები*	275,686	325,920
სულ სხვა აქტივები	334,634	352,456

*სხვა მოთხოვნები მოიცავს დებიტორულ დავალიანებას შპს "მელიქწმინდასთან" 261,266 და 309,749 ლარის ოდენობით 2014 წლის 31 დეკემბრისა და 1 იანვრის მდგომარეობით. ზემოთ მოცემული ნაშთები შედგება ვადაგადაცილებული სესხების უზრუნველყოფაში დარჩენილი ქონების, შემდგომში შპს „მელიქწმინდაზე“ გადაცემის ოპერაციებისგან.

შპს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ბერძნული
სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშების განმარტებითი შენიშვნები
2014 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშო წლისათვის

(ლარებში)

12. ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები

ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები 2014 წლის 31 დეკემბრის და 2014 წლის 1 იანვრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	მიწა	ოფისის აღჭურვილობა	დაცვის სისტემა	ავტო სატრანსპორტო საშუალებები	იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	არამატერიალური აქტივები	სულ
ისტორიული ღირებულება							
2014 წლის 1 იანვარს	-	177,869	33,791	38,862	28,187	3,891	307,052
შემოსვლა	30,854	107,588	46,711	25,448	4,316	71,889	286,806
გასვლა	-	(2,080)	-	-	-	-	(2,080)
ჩამოწერა	-	-	-	-	-	(59,745)	(59,745)
2014 წლის 31 დეკემბერს	30,854	283,377	80,502	64,310	32,503	16,035	532,033
დაგროვილი ცვეთა და ამორტიზაცია							
2014 წლის 1 იანვარს	-	(71,389)	(10,345)	(15,666)	(11,708)	(1,186)	(115,084)
წლის ცვეთა და ამორტიზაცია	-	(36,711)	(7,030)	(7,090)	(5,423)	(4,269)	(62,804)
გასული ძირითადი საშუალებების ცვეთა და ამორტიზაცია	-	182	-	-	-	-	182
2014 წლის 31 დეკემბერს	-	(107,918)	(17,375)	(22,756)	(17,131)	(5,455)	(177,706)
წმინდა საბალანსო ღირებულება							
2014 წლის 1 იანვარს	-	106,480	23,446	23,196	19,662	2,705	191,968
2014 წლის 31 დეკემბერს	30,854	175,459	63,127	41,554	17,381	10,580	354,327

შენიშვნა: არამატერიალური აქტივები მოიცავს სასესიო პორტფელის პროგრამული მართვის სისტემს "Loans keeper"-ს, რომელიც ორგანიზაციამ შეიძინა 67,497 ლარად შპს "დოლფინ სოფტვეისგან" 2014 წლის 15 აგვისტოს და აღიარა არამატერიალურ აქტივად. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს მხარეებს შორის ხელშეკრულების პირობებთან დაკავშირებით წარმოქმნილი უთანხმოების გამო, ორგანიზაციის მენეჯმენტისთვის ცნობილი გახდა, რომ აღარ იგეგმებოდა აღნიშნული პროგრამის სამომავლო გამოყენება. შექმნილი გარემოების გამო ორგანიზაციამ 2014 წლის მოგება-ზარალის ანგარიშგებაში აღიარა პროგრამასთან დაკავშირებული გაუფასურების ზარალი 59,745 ლარის ოდენობით.

შპს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ბერმელი

სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2014 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშო წლისათვის

(ლარებში)

13. გადავადებული მოგების გადასახადის აქტივი

გადავადებული მოგების გადასახადის აქტივი 2014 წლის 31 დეკემბრის და 2014 წლის 1 იანვრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31 დეკემბერი 2014	1 იანვარი 2014
ნაშთი 1 იანვრისთვის	2,355	-
აღიარებული მოგება-ზარალში მოგების გადასახადის სარგებელი	13,908	2,355
აღიარებული სხვა სრულ შემოსავალში	-	-
ნაშთი 31 დეკემბრისთვის	16,263	2,355

გადავადებულ საგადასახადო აქტივთან დაკავშირებით აღიარებული დროებითი სხვაობები 2014 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მოიცავს:

	აქტივი	ვალდებულება	ნეტო თანხა	(ზარჯი)/ სარგებელი აღიარებული მოგება-ზარალში
დროებითი სხვაობები				
ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები	-	(2,665)	(2,665)	(1,667)
მიღებული სესხები	9,315	-	9,315	6,073
სხვა ვალდებულებები	9,613	-	9,613	9,502
საგადასახადო აქტივი /(ვალდებულება)	18,928	(2,665)	16,263	13,908
ურთიერთგადაფარვა	(2,665)	2,665		
წმინდა საგადასახადო აქტივი	16,263	-	16,263	13,908

გადავადებულ საგადასახადო აქტივთან დაკავშირებით აღიარებული დროებითი სხვაობები 2014 წლის 1 იანვრის მდგომარეობით მოიცავს:

	აქტივი	ვალდებულება	ნეტო თანხა	(ზარჯი)/ სარგებელი აღიარებული მოგება-ზარალში
დროებითი სხვაობები				
ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები	-	(998)	(998)	(998)
მიღებული სესხები	3,242	-	3,242	3,242
სხვა ვალდებულებები	111	-	111	111
საგადასახადო აქტივი /(ვალდებულება)	3,353	(998)	2,355	2,355
ურთიერთგადაფარვა	(998)	998		
წმინდა საგადასახადო აქტივი	2,355	-	2,355	2,355

შპს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ბერმელი

საპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2014 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშო წლისათვის

(ლარებში)

14. მიღებული სესხები

მიღებული სესხები 2014 წლის 31 დეკემბრის და 2014 წლის 1 იანვრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

სასესხო ვალდებულებები მიღებულია:	31 დეკემბერი 2014	1 იანვარი 2014
იურიდიული პირებისგან	15,230,222	5,317,141
ფიზიკური პირებისგან	6,276,973	7,633,833
სულ მიღებული სესხები	21,507,195	12,950,974

მიღებული სესხების დეტალური ჩაშლა 2014 წლის 31 დეკემბრისა და 2014 წლის 1 იანვრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

			31 დეკემბერი 2014	1 იანვარი 2014
	საპროცენტო განაკვეთი	ვალუტა	სესხის ძირი	სესხის ძირი
იურიდიული პირები:			15,230,222	5,317,141
სს "კორ სტანდარტ ბანკი"	12%	აშშ დოლარი	10,298,220	4,115,198
შპს "ნიგალი"	13-16%	აშშ დოლარი	3,077,755	-
სს "კორ სტანდარტ ბანკი"	11%	აშშ დოლარი	1,198,210	696,782
შპს "GEO-USA"	15%	ლარი	554,595	505,161
სს "თიბისი ბანკი"	15%	აშშ დოლარი	101,442	-
ფიზიკური პირები	5.25-20%	აშშ დოლარი	6,276,973	7,633,833
		ევრო		
სულ მიღებული სესხები			21,507,195	12,950,974

მიღებული სესხების მიმდინარე და გრძელვადიანი წაწილები 2014 წლის 31 დეკემბრისა და 2014 წლის 1 იანვრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31 დეკემბერი 2014	1 იანვარი 2014
მიმდინარე	16,696,259	7,633,833
გრძელვადიანი	4,810,936	5,317,141
სულ მიღებული სესხები	21,507,195	12,950,974

15. სხვა ვალდებულებები

სხვა ვალდებულებები 2014 წლის 31 დეკემბრის და 2014 წლის 1 იანვრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31 დეკემბერი 2014	1 იანვარი 2014
გადასახდელი ხელფასები	59,016	738
მიღებული ავანსები	10,585	-
სხვა	15,739	4,597
სულ სხვა ვალდებულებები	85,340	5,335

16. ფინანსური ინსტრუმენტები – რისკების მართვა

სხვა ფინანსური ინსტიტუტების მსგავსად, ორგანიზაცია დგება სხვადასხვა რისკის წინაშე ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენების შედეგად. ეს შენიშვნა აღწერს ორგანიზაციის მიზნებს, პოლიტიკასა და პროცესებს, რომ მართოს აღნიშნული რისკები და წარმოადგენს მეთოდებს მათ შესაფასებლად. დამატებითი ციფრობრივი მონაცემები აღნიშნულ რისკებთან დაკავშირებით წარმოდგენილია მოცემული სპეციალური დანიშნულების ფინანსური ინფორმაციის სხვადასხვა ნაწილში.

ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებებისთვის, რომლებიც ლიკვიდური ან მოკლევადიანია (სამ თვემდე ვადით), ითვლება, რომ მათი საბალანსო ღირებულება მიახლოებულია მათ რეალურ ღირებულებასთან.

ზოგადი მიზნები, პოლიტიკა და პროცესები

მენეჯმენტს გააჩნია საერთო პასუხისმგებლობა ორგანიზაციის რისკების მართვის მიზნებისა და პოლიტიკის განსაზღვრისთვის, ამასთანავე, პასუხისმგებლობის შენარჩუნებასთან ერთად, მიზნებისა და პროცესების ეფექტურად დანერგვისთვის მას დელეგირებული აქვს პროცესების შემუშავებისა და ოპერირების უფლება ორგანიზაციის ფინანსური მხარისთვის.

მენეჯმენტის საერთო მიზანია, რომ შექმნას ისეთი პოლიტიკა, რომელიც მიზანმიმართული იქნება რისკების მინიმუმამდე შემცირებისკენ ორგანიზაციის კონკურენტუნარიანობისა და მოქნილობის გაუარესების გარეშე. აღნიშნულ პოლიტიკებთან დაკავშირებული დამატებითი დეტალები წარმოდგენილია ქვემოთ.

საქმიანობის პროცესში ორგანიზაცია დგას შემდეგი ფინანსური რისკების წინაშე:

- საკრედიტო რისკი
- ლიკვიდურობის რისკი
- საბაზრო რისკი:
- სავალუტო რისკი
- საპროცენტო განაკვეთის რისკი

საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი წარმოადგენს რისკს, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ერთი მხარე გამოიწვევს ფინანსურ დანაკარგს მეორე მხარისთვის ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის გამო.

საკრედიტო რისკის წინაშე ორგანიზაცია დგება სესხების გაცემით და სხვა სახის ოპერაციებით, როდესაც ურთიერთობისას წარმოიშობა ფინანსური აქტივი.

ორგანიზაციის ძირითადი საქმიანობა მიკრო სესხების გაცემა და შესაბამისად, საკრედიტო რისკი უმნიშვნელოვანეს როლს თამაშობს მისი-ს რისკების მართვაში. იმისათვის, რომ მსგავსმა შემთხვევებმა ორგანიზაციის ფინანსური მდგომარეობა მნიშვნელოვნად არ დააზარალოს, გამოიყენება სხვადასხვა სამუშაო მეთოდი, რაც უზრუნველყოფს საკრედიტო რისკების დროულად იდენტიფიცირებასა და მათ ეფექტურად მართვას.

ორგანიზაცია რეგულარულად აკვირდება ინდივიდუალური სესხების საკრედიტო რისკებს და მუდმივად აფასებს კლიენტების კრედიტუნარიანობას. მიმოხილვა დაფუძნებულია მონიტორინგის შედეგად განახლებულ ფინანსურ ინფორმაციაზე.

ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულება წარმოადგენს საკრედიტო რისკის მაქსიმუმს. საანგარიშგებო პერიოდისათვის საკრედიტო რისკის მაქსიმალური ოდენობა იყო:

	შენიშვნა	31 დეკემბერი 2014	1 იანვარი 2014
ფული და ფულის ეკვივალენტები (ნაღდი ფულის გარეშე)	9	1,749	274
გაცემული სესხები	10	26,970,583	17,937,811
სხვა აქტივები	11	275,686	325,920
საკრედიტო რისკის მაქსიმალური ოდენობა		27,248,018	18,264,005

16. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა (გაგრძელება)**ლიკვიდურობის რისკი**

ლიკვიდურობის რისკში იგულისხმება საკმარისი ფინანსური რესურსის არსებობა, რომ მოხდეს სესხების გასტუმრება და სხვა ფინანსური ვალდებულებების დაფარვა შესაბამის ვადაში.

ლიკვიდურობის რისკის მართვის მიზნით ორგანიზაცია მუდმივად ახორციელებს მოსალოდნელი მომავალი ფულადი ნაკადების მონიტორინგს, რაც წარმოადგენს აქტივების/ვალდებულებების მართვის პროცესს. ლიკვიდურობის ანალიზი და საპროცენტო განაკვეთის რისკი წარმოდგენილია შემდეგ ცხრილში, რომელიც დაფუძნებულია ორგანიზაციის უმაღლესი ხელმძღვანელობის მიერ მოწოდებულ ინფორმაციაზე.

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ლიკვიდურობა 2014 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შედეგნაირად:

ფინანსური აქტივები	შენიშვნა	3 თვემდე	3 თვიდან 1 წლამდე	1-დან 3 წლამდე	3-დან 5 წლამდე	5 წელზე მეტი	სულ
გაცემული სესხები	10	1,452,742	25,517,841	-	-	-	26,970,583
ფული და ფულის ეკვივალენტები	9	761,275	-	-	-	-	761,275
სხვა აქტივები	11	275,686	-	-	-	-	275,686
სულ ფინანსური აქტივები 2014 წლის 31 დეკემბერს		2,489,703	25,517,841	-	-	-	28,007,544

ფინანსური ვალდებულებები

მიღებული სესხები	14	81,723	16,614,536	3,612,726	587,127	611,083	21,507,195
სულ პროცენტის მატარებელი ფინანსური ვალდებულებები		81,723	16,614,536	3,612,726	587,127	611,083	21,507,195
სხვა ვალდებულებები	15	74,755	-	-	-	-	74,755
სულ ფინანსური ვალდებულებები 2014 წლის 31 დეკემბერს		156,478	16,614,536	3,612,726	587,127	611,083	21,581,950

წმინდა ლიკვიდურობის ინტერვალი 2014 წლის 31 დეკემბერს		2,333,225	8,903,305	(3,612,726)	(587,127)	(611,083)	6,425,594
დაგროვილი ლიკვიდურობის ინტერვალი 2014 წლის 31 დეკემბერს		2,333,225	11,236,530	7,623,804	7,036,677	6,425,594	

შპს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ბერმელი

სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2014 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშო წლისათვის

(ლარებში)

16. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა (გაგრძელება)

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ლიკვიდურობა 2014 წლის 1 იანვრის მდგომარეობით წარმოდგენილია შედეგნაირად:

ფინანსური აქტივები	შენიშვნა	3 თვემდე	3 თვიდან 1 წლამდე	1-დან 3 წლამდე	3-დან 5 წლამდე	5 წელზე მეტი	სულ
გაცემული სესხები	10	744,423	17,193,388	-	-	-	17,937,811
ფული და ფულის ეკვივალენტები	9	142,932	-	-	-	-	142,932
სხვა აქტივები	11	325,920	-	-	-	-	325,920
სულ ფინანსური აქტივები 2014 წლის 1 იანვარს		1,213,275	17,193,388	-	-	-	18,406,663

ფინანსური ვალდებულებები

მიღებული სესხები	14	21,615	7,612,218	4,620,359	-	696,782	12,950,974
სულ პროცენტის მატარებელი ფინანსური ვალდებულებები		21,615	7,612,218	4,620,359	-	696,782	12,950,974
სხვა ვალდებულებები	15	5,335	-	-	-	-	5,335
სულ ფინანსური ვალდებულებები 2014 წლის 1 იანვარს		26,950	7,612,218	4,620,359	-	696,782	12,956,309

წმინდა ლიკვიდურობის

ინტერვალი 2014 წლის 1 იანვარს	1,186,325	9,581,170	(4,620,359)	-	(696,782)	5,450,354
----------------------------------	-----------	-----------	-------------	---	-----------	-----------

დაგროვილი ლიკვიდურობის

ინტერვალი 2014 წლის 1 იანვარს	1,186,325	10,767,495	6,147,136	6,147,136	5,450,354
----------------------------------	-----------	------------	-----------	-----------	-----------

საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება შემცირდება საბაზრო ფაქტორების ცვლილების გავლენით. საბაზრო რისკი შეიძლება წარმოიშვას ორგანიზაციის მიერ პროცენტიანი, სავაჭრო ან უცხოურ ვალუტაში არსებული ფინანსური ინსტრუმენტების ფლობის შედეგად. არსებობს რისკი, რომ ფინანსური ინსტრუმენტის რეალური ღირებულება ან მომავალი ფინანსური ნაკადები შეიცვლება უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის გამო (სავალუტო რისკი) და საპროცენტო განაკვეთის ცვლილების გამო (საპროცენტო რისკი).

- სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი წარმოიშობა ერთი ვალუტის მიმართ მეორის ფასის ცვლილებით. სავალუტო რისკი არანაკლებ გავლენას ახდენს ორგანიზაციის ფინანსური რისკების განსაზღვრაში. ორგანიზაცია ატარებს სავალუტო რისკს, რომელიც დაკავშირებულია მის ფინანსურ მდგომარეობასა და ფულად ნაკადებთან.

შპს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ბერმელი

სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2014 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშო წლისათვის

(ლარებში)

16. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა (გაგრძელება)

სავალუტო რისკის ზეგავლენა ორგანიზაციაზე 2014 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მოცემულია შემდეგ ცხრილში:

ფინანსური აქტივები	შენიშვნა	ლარი	დოლარი 1 დოლარი = 1.8636 ლარი	ევრო 1 ევრო = 2.2656 ლარი	სულ 2014 წლის 31 დეკემბერს
გაცემული სესხები	10	2,250,307	24,720,276	-	26,970,583
ფული და ფულის ეკვივალენტები	9	134,070	615,669	11,536	761,275
სხვა აქტივები	11	275,686	-	-	275,686
სულ ფინანსური აქტივები		2,660,063	25,335,945	11,536	28,007,544

ფინანსური ვალდებულებები

მიღებული სესხები	14	698,962	20,749,508	58,725	21,507,195
სხვა ვალდებულებები	15	74,755	-	-	74,755
სულ ფინანსური ვალდებულებები		773,717	20,749,508	58,725	21,581,950

ღია საბალანსო პოზიცია		1,886,346	4,586,437	(47,189)	6,425,594
------------------------------	--	------------------	------------------	-----------------	------------------

სავალუტო რისკის ზეგავლენა ორგანიზაციაზე 2014 წლის 1 იანვრის მდგომარეობით მოცემულია შემდეგ ცხრილში:

ფინანსური აქტივები	შენიშვნა	ლარი	დოლარი 1 დოლარი = 1.7363 ლარი	ევრო 1 ევრო = 2.3891 ლარი	სულ 2014 წლის 1 იანვარს
გაცემული სესხები	10	766,843	17,170,968	-	17,937,811
ფული და ფულის ეკვივალენტები	9	22,100	120,832	-	142,932
სხვა აქტივები	11	325,920	-	-	325,920
სულ ფინანსური აქტივები		1,114,863	17,291,800	-	18,406,663

ფინანსური ვალდებულებები

მიღებული სესხები	14	526,776	12,424,198	-	12,950,974
სხვა ვალდებულებები	15	5,335	-	-	5,335
სულ ფინანსური ვალდებულებები		532,111	12,424,198	-	12,956,309

ღია საბალანსო პოზიცია		582,752	4,867,602	-	5,450,354
------------------------------	--	----------------	------------------	----------	------------------

შპს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ბერმელი

სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2014 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშო წლისათვის

(ლარებში)

16. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა (გაგრძელება)

2014 წლის 31 დეკემბერს და 2014 წლის 1 იანვარს ნეტო მოგებასა და კაპიტალზე გავლენა დამყარებული ფინანსური ინსტრუმენტების ღირებულებაზე შეიძლება წარდგენილ იქნეს შემდეგნაირად:

	აშშ დოლარის ზეგავლენა		ევროს ზეგავლენა	
	31 დეკემბერი 2014	1 იანვარი 2014	31 დეკემბერი 2014	1 იანვარი 2014
10% ზრდა	458,644	486,760	(4,719)	-
10% შემცირება	(458,644)	(486,760)	4,719	-

ზემოთ მოცემული ცხრილი წარმოადგენს ორგანიზაციის მგრძნობელობას ქართულ ლართან მიმართებით უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსების 10%-იან ზრდასა ან კლებაზე და წარმოადგენს მმართველობის შეფასებას უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის შესაძლო ცვლილებაზე.

ანალიზი გულისხმობს, რომ ყველა სხვა ცვლადი, მაგალითად საპროცენტო განაკვეთი, უცვლელია.

მენეჯმენტი მიიჩნევს, რომ გონივრულ ზრდას ან შემცირებას საბაზრო გაცვლით კურსებში არ ექნება არსებითი ეფექტი ორგანიზაციის სპეციალური დანიშნულების ფინანსურ ანგარიშგებაზე ან კაპიტალზე 2014 წლის 31 დეკემბრის და 2014 წლის 1 იანვრის მდგომარეობით.

- საპროცენტო განაკვეთის რისკი

საპროცენტო განაკვეთის რისკი წარმოიშობა საბაზრო საპროცენტო განაკვეთების პოტენციური ცვლილების გამო, რომელმაც შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიოს ორგანიზაციის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეალურ ღირებულებებზე. ეს რისკი შესაძლოა წარმოიშვას აქტივებისა და ვალდებულებების მიღება/დაფარვის ვადების შეუსაბამობით, ასევე იმ შემთხვევაში, თუ ასეთი აქტივები და ვალდებულებები დამოკიდებულია კურსის ცვლილებაზე.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში შეჯამებულია საპროცენტო განაკვეთის რისკის გავლენა ორგანიზაციაზე. იგი წარმოადგენს ორგანიზაციის იმ ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების ჯამს 2014 წლის 31 დეკემბრის და 2014 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, რომელთაც შესაბამისად ერიცხებათ საპროცენტო შემოსავალი და ხარჯი.

	31 დეკემბერი 2014	1 იანვარი 2014
სულ პროცენტის მატარებელი ფინანსური აქტივები	26,972,332	17,938,085
სულ პროცენტის მატარებელი ფინანსური ვალდებულებები	(21,507,195)	(12,950,974)
საპროცენტო განაკვეთის მგრძნობელობის წმინდა ინტერვალი	5,465,137	4,987,111

ინფორმაცია პროცენტის მატარებელ ფინანსურ აქტივებსა და ვალდებულებებზე მოცემულია ზემოთ, ლიკვიდურობის რისკის შენიშვნაში.

ორგანიზაცია ახორციელებს საპროცენტო განაკვეთის მგრძნობელობის ანალიზს.

ორგანიზაციის ყველა პროცენტის მატარებელი აქტივის და ვალდებულების საპროცენტო განაკვეთი ფიქსირებულია, ამიტომ საპროცენტო განაკვეთის ცვლილება არ ახდენს გავლენას ორგანიზაციის შემოსავლებსა ან ხარჯებზე.

16. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა (გაგრძელება)

კაპიტალის მართვა

ორგანიზაციის მიზნები კაპიტალის მართვისას შემდეგში მდგომარეობს:

- მოახდინოს ორგანიზაციის ფუნქციონირებადობის უზრუნველყოფა ისე, რომ ორგანიზაციამ გააგრძელოს ეფექტურად საქმიანობა;
- შეესაბამებოდეს სებ-ის მიერ დადგენილ კაპიტალის მოთხოვნილებებს; და
- ჰქონდეს ადეკვატური უკუგება მეწილეებისთვის.

ორგანიზაცია რისკის პროპორციულად აწესებს საჭირო კაპიტალის ოდენობას. ორგანიზაცია მართავს საკუთარი კაპიტალის სტრუქტურას და ახდენს მის კორექტირებას ეკონომიკური გარემოებებისა და აქტივების რისკიანობის შესაბამისად. იმისათვის, რომ შეინარჩუნოს ან დააკორექტიროს კაპიტალის სტრუქტურა, ორგანიზაციამ შეიძლება დააკორექტიროს მფლობელებისათვის გადახდილი დივიდენდები, დაუბრუნოს კაპიტალი მფლობელებს, გამოუშვას ახალი აქციები ან გაყიდოს აქტივები ვალის დაფარვის მიზნით.

17. ოპერაციები დაკავშირებული მხარეებთან

დაკავშირებული მხარეებს, ან ოპერაციებს დაკავშირებულ მხარეებთან ბასს 24-ის, „დაკავშირებულ მხარეთა განმარტებითი შენიშვნების“ მიხედვით წარმოადგენს:

- ა) მხარეს, რომელიც პირდაპირ, ან ერთი, ან მეტი შუალედური რგოლის საშუალებით არაპირდაპირ: აკონტროლებს საწარმოს, კონტროლდება საწარმოს მიერ ან იმყოფება საერთო კონტროლის ქვეშ (ეს მოიცავს სათავო და შვილობილ საწარმოებს); საწარმოში ისეთი ოდენობის წილის მფლობელია, რომ მნიშვნელოვანი გავლენის მოდენა შეუძლია მასზე; და ერთობლივად აკონტროლებს საწარმოს;
- ბ) მხარე არის საწარმოს ან მისი სათავო საწარმოს უმაღლესი ხელმძღვანელობის წევრი
- გ) მხარე არის ა) ან ბ) პუნქტებით გათვალისწინებული პიროვნებების ოჯახის წევრი
- დ) მხარე არის საწარმო, რომელსაც აკონტროლებს, ერთობლივად აკონტროლებს ან მასზე მნიშვნელოვანი გავლენა აქვს ა) და ბ) პუნქტებში განსაზღვრულ რომელიმე პიროვნებას ან, რომელშიც მნიშვნელოვანი ხმის უფლებით პირდაპირ ან არაპირდაპირ სარგებლობენ პიროვნებები

შესაძლო დაკავშირებული მხარეების განსაზღვრისას, ყურადღება ექცევა საერთო ოპერაციების შინაარსს და არა იურიდიულ ფორმას. დამატებითი ინფორმაცია ორგანიზაციასა და მის დაკავშირებულ მხარეებს შორის განხორციელებული ოპერაციების შესახებ მოცემულია წინამდებარე ცხრილში:

დაკავშირებულ მხარეებთან არსებული ნაშთები და ტრანზაქციები 2014 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობითა და საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა ამ თარიღში:

სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების მუხლი	შენიშვნა	დამფუძნებლები	სხვა დაკავშირებული მხარეები	სულ ანგარიშგების არე
მიღებული სესხები	14	-	554,595	21,507,195
სხვა აქტივები	11	-	261,164	334,634
სხვა ვალდებულებები	15	4,583	102	85,340
საპროცენტო ხარჯი	4	413	76,914	2,055,416
ადმინისტრაციული და სხვა საერთო ხარჯები	6	17,400	1,369	759,687
უმაღლესი მენეჯმენტის ანაზღაურება	5	14,936	681	746,519

დაკავშირებულ მხარეებთან არსებული ნაშთები 2014 წლის 1 იანვრის მდგომარეობით:

სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების მუხლი	შენიშვნა	დამფუძნებლები	სხვა დაკავშირებული მხარეები	სულ ანგარიშგების არე
მიღებული სესხები	14	18,033	504,658	12,950,974
სხვა აქტივები	11	395	309,749	352,456

შპს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ბერმელი

სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2014 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშო წლისათვის

(ლარებში)

18. ბალანსის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ, 2015 წლის 25 ივნისსა და 29 სექტემბერს, კრების ოქმების საფუძველზე გაუნაწილებელი მოგებიდან მეწილეებზე გაიცა დივიდენდები ჯამური თანხით 1,261,786 ლარი.

2015 წლის ნოემბერში ორგანიზაციამ მოლაპარაკებები დაიწყო პროგრამული უზრუნველყოფის კომპანია „სოფტგენტან“ ახალი სასესხო პროგრამის დანერგვასთან დაკავშირებით, რომელთანაც უახლოეს მომავალში გეგმავს ხელშეკრულების გაფორმებას.